საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

www.GNERC.org

ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნები ენერგეტიკის რეგულირების სფეროში

რეგულირება განვითარებისათვის

თბილისი, 2017

კანონმდებლობის მოთხოვნები

- ასოცირების შესახებ შეთანხმება - XI თავი - ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სექტორში - <u>ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორის მარეგულირებელი ორგანოს არსებობა</u>.
- მესამე ენერგეტიკული პაკეტი
- „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონი

მესამე ენერგეტიკული პაკეტი

- ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტი:

- დირექტივა 2009/72/EC;
- დირექტივა 2009/73/EC;
- რეგულაცია (EC) No714/2009;
- რეგულაცია (EC) No715/2009;
- რეგულაცია (EC) No713/2009.

- მესამე ენერგეტიკული პაკეტის ძირითადი პრინციპებია:

- მომხმარებელთა დაცვა;
- კონკურენცია;
- დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნა;
- ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს დაარსება (ACER).

მესამე ენერგეტიკული პაკეტის ძირითადი მოთხოვნები

- ერთი მარეგულირებელი ორგანო;
- დამოუკიდებლობა;
- ტარიფის დადგენის უფლებამოსილება;
- მონიტორინგი;
- სავალდებულო ხასიათის მქონე გადაწყვეტილების მიღებისა და სანქციების დაკისრების უფლებამოსილება;
- ინფორმაციის მიღების უფლებამოსილება;
- საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილება;
- მარეგულირებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება;
- ინვესტიციების დამტკიცების უფლება.

ერთი მარეგულირებელი ორგანო

- წევრმა სახელმწიფომ ეროვნულ დონეზე ერთი მარეგულირებელი ორგანო უნდა დაასახელოს.
- „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სემეკი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორის მარეგულირებელი ერთადერთი ორგანოა.

მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა

- ფუნქციური დამოუკიდებლობა ნებისმიერ საჯარო თუ კერძო ორგანიზაციისგან თუ თანამდებობის პირისგან;
- მისი პერსონალისა და მენეჯმენტზე პასუხისმგებელი პირების დამოუკიდებლობა ნებისმიერი საბაზრო ინტერესისგან;
- ფინანსური დამოუკიდებლობა;
- მმართველი რგოლის როტაცია 5-7 წელიწადში ერთჯერადად განახლებადი ვადით;
- სემეკი - სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე სსიპი, არ არის შექმნილი სახელმწიფო ქონების საფუძველზე და ემორჩილება მხოლოდ კანონს.
- კომისიის წევრთა კანდიდატურებს საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.
- კომისია წლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს და ენერგეტიკის სამინისტროს.

ტარიფის დადგენის უფლებამოსილება

- ელექტროენერგიის შესახებ დირექტივის 37-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტი - გადაცემის და განაწილების ტარიფები და მათი მეთოდოლოგია გამჭვირვალობის საფუძველზე;

- სემეკი უფლებამოსილია დაადგინოს გადაცემისა და განაწილების ტარიფები და შეიმუშავოს მეთოდოლოგია.

მონიტორინგი

- გადაცემის სისტემის ოპერატორების საინვესტიციო გეგმების, ქსელის უსაფრთხოებისათვის შესრულებული საქმიანობის, გამჭვირვალობის დონის, საცალო და საბითუმო დონეზე ღია ბაზრისა და კონკურენციის ეფექტურობის და სხვ. მონიტორინგი.
- სემეკის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლი.
- 2013 წლის 27 დეკემბრის ცვლილება "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონში - ბაზრის მონიტორინგი.
- ბაზრის მონიტორინგს ახორციელებს სემეკი, თუმცა საბითუმო ბაზრის წესებს ამტკიცებს ენერგეტიკის სამინისტრო.

სავალდებულო ხასიათის მქონე გადაწყვეტილებებისა და სანქციების დაკისრების უფლებამოსილება

- დირექტივების შესაბამისად, მარეგულირებელ ორგანოებს მათზე დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების მიზნით უნდა ჰქონდეთ:

- სავალდებულო ხასიათის მქონე გადაწყვეტილებების მიღების უფლება;
- ელექტროენერგიის ბაზრის ფუნქციონირების თაობაზე კვლევის განხორციელების უფლებამოსილება
- ნებისმიერი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება
- ეფექტური ჯარიმების დაწესების უფლებამოსილება;
- საგამოძიებო საქმიანობის განხორციელება და რელევანტური ძალაუფლება დავების მოგვარებისათვის.

- სემეკი გამოსცემს დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა.
- კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება

- მისი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება;
- კანონით კომისიის წევრსა და აპარატის თანამშრომელს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეძლევათ ლიცენზიატის, იმპორტიორის, ექსპორტიორის, მიმწოდებლისა და ბაზრის ოპერატორის იმ პერსონალთან და იმ დოკუმენტაციასთან შეუფერხებლად მუშაობის საშუალება, რომელიც საჭიროა კომისიისათვის მინიჭებული ფუნქციების შესასრულებლად.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილება

- დირექტივების მიხედვით მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია ჩაატაროს გამოძიება ბაზრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და შემდეგ დააწესოს გარკვეული ზომები არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

- საქართველოს კანონმდებლობა სემეკს ასეთ უფლებამოსილებას არ ანიჭებს.

მარეგულირებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

- გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი, რათა მოხდეს მისი სასამართლო წესით განხილვა;
- უნდა არსებობდეს დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების მექანიზმი;
- კომისიის გადაწყვეტილებები და დადგენილებები მიიღება საჯარო სხდომაზე წევრთა ხმების უმრავლესობით.
- კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში.

ინვესტიციების დამტკიცების უფლება

- ყოველწლიურად გადამცემი სისტემის ოპერატორებმა მარეგულირებელ ორგანოს უნდა წარუდგინონ ქსელის განვითარების 10 - წლიანი გეგმა.

- "ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებებით საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმას ამტკიცებს ენერგეტიკის სამინისტრო მთავრობის თანხმობით და სამინისტრო აკონტროლებს მის შესრულებას.

მადლობა ყურადღებისათვის!